ხაშურის მოამბე

№18 (99) 8 მაისი, ორშაბათი, 2017 წელი



ჩვენს მუნიციპალიტეტში ტურისტული პოტენციალი დიდია

იმის მტკიცება, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტს ტურისტული მომავალი არ აქვს, მცდარია. იმ ადამიანებისთვისაც კი, ვინც ჩვენ მხარეს კარგად არ იცნობს, რამდენიმე, დიდი მნიშვნელობის ადილი მაინცაა ცნობილი. საკურორტო ზონა, რომელიც სურამითა და ქვიშხეთითაა წარმოდგენილი, თავისი უნიკალური მდებარეობითა და ჰაერით, დღესაც დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს. არაერთია დიდი ისტორიისა და რელიგიური მნიშვნელობის ეკლესია-მონასტერი: იტრიის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი, წრომის ტაძარი, ულუმბოს მონასტერი, ყორანქედი... აგრო და ეკო ტურიზმის განვითარებისთვის კარგი პოტენციალი აქვს ღორინამკალსა და კოდიწყაროს ტბას. არსებობს კიდეც იდეა და სამომავლო გეგმები, ამ ადგილის იმ ფორმით ათვისების, რისი ბუნებრივი და გეოგრაფილი შესაძლებლობაც მას აქვს. როგორც გვითხრეს მისმა მფლობელებმა, მოეწყობა ტურისტული ბაზა, მოინიშნება საფეხმავლო ბილიკები, მათთვის, ვისაც ექსტრემალური ტურიზმი ხიბლავს, შესაძლებელი გახდება ველოსიპედებითა და ცხენებით გადაადგილება. მოეწყობა ტბის ინფრასტრუქტურა, რომელიც ბევრ, სხვადასხვა სახის მოთხოვნილებას დაუკმაყოფილებს ტურისტს. ეს ყველაფერი სამომავლო გეგმები და მომავალზე გათვლილი საქმეა. ფაქტია, რომ ჩვენ რაიონს, ყველა ინტერესისა და სურვილის ტურისტისა თუ ადგილობრივი დამთვალიერებლის ინტერესის დაკმაყოფილება შეუძლია.

სურათზე: ეს მშვენიერება ელით ტურისტებს კოდისწყაროზე. გელა ჩადუნელის ფოტო.

„ვესაუბრებით ამომრჩეველს" - ცესკოს ახალი პროექტი - მოქმედებაში

ახლოვდება ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნები, შესაბამისად, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წინასაარჩევნო მზადება უკვე დაიწყო. ცესკო აქტიურად მუშაობს საარჩევნო სისტემის დახვეწისათვის და გაუმჯობესებისათვის. უახლესი პროექტი, რაც საარჩევნო ადმინისტრაციამ წარმოადგინა, ეს გახლავთ „ვესაუბრებით ამომრჩეველს", რომლის ფარგლებშიც საოლქო საარჩევნო კომისიებს დაევალათ მოსახლეობაში ცნობიერების ამაღალება საარჩევნო სისტემის კუთხით, მჭიდრო კომუნიკაცია ამომრჩევლებთან ცესკოს საქმიანობის პოპულარიზაციისა და ცნობადობის გაზრდით მიზნით. აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, ხაშურის №35 საოლქო საარჩევნო კომისიაში, თავმჯდომარემ, იმედო ლაცაბიძემ ერთგვარი საანგარიშო, შემაჯამებელი შეხვედრა გამართა ამომრჩეველთან, მიმოიხილა წარმატებული 2016 წელი, როდესაც ცესკომ სამი შუალედური და ორი რიგგარეშე არჩევნები, გამჭვირვალედ, სამართლიანად და დემოკრატიის უმაღლესი სტანდარტების დაცვით ჩაატარა. ასევე, ისაუბრა საარჩევნო ადმინისტრაციის მიზნებსა დ იმ სამომავლო გამოწვევებზე, რასაც მომავალი არჩევნები პირდება. საუბარი შეეხო იმ დაგეგმილ პროექტებსაც, რომელთა დანერგვასაც ცესკო უახლოეს მომავალში აპირებს, საქმე ეხება ელექტრონულ სიებს, ხმების ელექტრონულად დათვლას და შშმ პირებისათვის უფრო მეტად მოქნილი საარჩევნო გარემოს შექმნას.

შეხედრის ფარგლებში აუდიტორიას კიდევ ერთი პროექტის შესახებ ემცნო - „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი". საჯარო სკოლებში პროექტს ცესკო და სასწავლო ცენტრი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად ახორციელებს. მიზანი – მოსწავლეთა საარჩევნო კულტურის განვითარების ხელშეწყობაა. სამიზნე ჯგუფებს XI-XII კლასის მოსწავლეები წარმოადგენენ. პროექტის ეგიდით საოლქო კომისიის წარმომადგენლები ხაშურის №6 და ოსიაურის საჯარო სკოლებში იმყოფებოდნენ და ტრენინგები ჩაუტარეს მოსწავლეებს, ამომრჩევლის როლის მნიშვნელობის გააზრებისათვის.

შეხვედრაზე, ახალი პროექტის ფარგლებში, ისაუბრეს კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ნონა ხაჩიძემ და საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანმა ლია პირმისაშვილმა. შეხვედრაზე იმყოფებოდნენ საკრებულოს, საპარლამენტო ბიუროს და ხაშურის საგანმამათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლები.

- აქტუალური თემა -

100-ქულიანი მართვის მოწმობის კანონი ძალაშია - რა დარღვევაზე რამდენი ქულა ჩამოიჭრება

პარლამენტმა მესამე მოსმენით მხარი დაუჭირა ქვეყანაში 100-ქულიანი მართვის მოწმობის სისტემის დანერგვას. საკანონმდებლო პაკეტს, რომელიც პარლამენტში 2015 წლის დეკემბერში შევიდა, მხარი 89 დეპუტატმა დაუჭირა. ცვლილება ძალაში პირველი ივლისიდან შევა, ყოველ მძღოლს მიენიჭება 100 ქულა, ქულები კი მათ ეტაპობრივად, დაგროვილი ჯარიმების შედეგად ჩამოაკ-

ლდებათ. კანონს ამოქმედებისთვის პრეზიდენტის ხელმოწერა ესაჭიროება.

რა დარღვევაზე რამდენი ქულა ჩამოიჭრება:

სიმთვრალეში მართვა - 30 ქულა;

სიმთვრალეში მართვა, ერთი წლის მანძილზე განმეორებით - 40 ქულა;

ავტომობილის შეგნებულად იმ პირისთვის გადაცემა, რომელიც ნარკოტიკული თრობის ქვეშაა - 40 ქულა;

წინა სავარძელზე მგზავრის მიერ ღვედის გაუკეთებლობა - 5 ქულა;

მართვისას მობილურზე საუბარი - 15 ქულა;

მოპედით/მოტოციკლით მგზავრობისას ჩაფხუტის გაუკეთებლობა - 5 ქულა;

გაუმართავი სამუხრუჭე სისტემის/გაუმართავი საჭის/გაუმართავი მაშუქების მქონე ავტომობილის ტარება - 5 ქულა;

ავტომობილის ტარება, რომელიც დასაშვებ ზღვარზე მეტად აბინძურებს გარემოს - 10 ქულა;

თვითნებურად გადაკეთებული ავტომობილის ტარება - 10 ქულა;

არასწორი ქვეკატეგორიის მართვის მოწმობით ავტომობილის ტარება - 15 ქულა;

დაბურული მინების მქონე ავტომობილის ტარება - 5 ქულა;

დაბურული მინების მქონე ავტომობილის ტარება განმეორებით, ერთი წლის მანძილზე - 10 ქულა;

დაბურული მინების მქონე ავტომობილის ტარება მესამედ, ერთი წლის მანძილზე - 15 ქულა;

წესების დარღვევით მოძრაობა, რასაც მოჰყვა, ავტომობილის, ინფრასტრუქტურის ან ადამიანის სხეულის მცირე დაზიანება - 20 ქულა;

ავტომობილზე ციმციმა სიგნალის ან/და ხმოვანი სიგნალის ან/და სპეციალური ხმამაღლამოლაპარაკე ხელსაწყოს დაყენება ან/და ოპერატიული ან სპეციალური სამსახურის სატრანსპორტო საშუალებებისათვის განსაზღვრული შეფერილობის გამოყენება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ განსაზღვრული წესის დარღვევით – 15 ქულა;

იგივე განმეორებული წლის მანძილზე - 20 ქულა;

ესკორტის ავტომობილის შეფერხება - 10 ქულა;

სასწრაფოს/სამაშველოს/სახანძროს ავტომობილის შეფეხრება - 20 ქულა

იგივე ქმედება, რასაც მოჰყვა ავტომობილის, ინფრასტრუქტურის, ან ადამიანის სხეულის მცირე დაზიანება - 40 ქულა;

ავტომობილის გადაცემა არასრულწლოვნისთვის (გარდა იმ პირისა, რომელსაც მინიჭებული აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება) ან იმ პირისათვის, რომელსაც არ აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ან ეს უფლება შეჩერებული აქვს სხვა დარღვევისათვის – 15 ქულა;

იგივე ქმედება, რასაც მოჰყვა ავტომობილის, ინფრასტრუქტურის, ან ადამიანის სხეულის მცირე დაზიანება - 25 ქულა;

იგივე ქმედება განმეორებული წლის მანძილზე - 30 ქულა;

წინასწარი შეცნობით, სანომრე ნიშნის გარეშე მოძრაობა ან სანომრე ნიშნის შეცვლა/გადაკეთება - 10 ქულა;

სატრანსპორტო საშუალების მართვა წინასწარი შეცნობით სხვისი ან შენიღბული სახელმწიფო სანომრე ნიშნით - 30 ქულა;

საგზაო შემთხვევის მონაწილე მძღოლის მიერ შემთხვევის ადგილის მიტოვება ან საგზაო შემთხვევის მონაწილე სატრანსპორტო საშუალების შემთხვევის ადგილიდან გადაადგილება - 15 ქულა;

ავტომობილის გაჩერების შესახებ იმ პოლიციელის მოთხოვნის შეუსრულებლობა, რომელიც უზრუნველყოფს საგზაო მოძრაობის მონაწილეთა უსაფრთხოებას და ზედამხედველობს საგზაო მოძრაობის წესების დაცვას - 20 ქულა;

აღნიშნული სამართალდარღვევები, რომლებსაც მოჰყვა საავარიო ვითარების შექმნა ან საგზაო მოძრაობის შეფერხება - 35 ქულა;

ავტომობილის მიერ მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება 15 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით – 10 ქულა;

აღნიშნული სამართალდარღვევის ჩადენა იმ პირის მიერ, რომელიც ახორციელებს ადგილობრივ საქალაქო, საქალაქთაშორისო ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით დადგენილ საერთაშორისო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანას - 25 ქულა;

სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება 15 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით, რომელსაც მოჰყვა საავარიო ვითარების შექმნა ან მოძრაობის შეფერხება - 30 ქულა;

აღნიშნული სამართალდარღვევა, რომელსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება - 40 ქულა;

ქვეითებთან მიმართებით საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა - 5 ქულა;

იგივე ქმედება ჩადენილი ერთი წლის მანძილზე - 10 ქულა;

ქვეითებთან მიმართებით მძღოლის მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა, რომელსაც მოჰყვა საავარიო ვითარების შექმნა - 20 ქულა;

ქვეითებთან მიმართებით საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა, რომელსაც მოჰყვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება - 30 ქულა;

მძღოლის მიერ საგზაო ნიშნის ან საგზაო მონიშვნის, ბუქსირების, გარე სანათი ხელსაწყოთი, ხმოვანი სიგნალით ან საავარიო შუქსიგნალიზაციით სარგებლობის, სასწავლო სვლის, საცხოვრებელ ზონაში ან გზაზე მოძრაობის წესების, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის პრიორიტეტის ან/და საჭაპანო ტრანსპორტის მართვის წესების დარღვევა, ან მოტოციკლით ან სხვა სატრანსპორტო საშუალებით ჯგუფურ მოძრაობაში მონაწილეობა, რაც აფერხებს საგზაო მოძრაობას ან საშიშროებას უქმნის მოძრაობის უსაფრთხოებას - 5 ქულა;

სატრანსპორტო საშუალებებით ორგანიზებულად გზის გადაკეტვა ან ჯგუფურ მოძრაობაში მონაწილეობა ქალაქში ან სხვა დასახლებულ პუნქტში, რა დროსაც სრულად არის დაკავებული გზის სავალი ნაწილი - 10 ქულა;

გზის სავალ ნაწილზე სატრანსპორტო საშუალებათა განლაგების, მოძრაობის დაწყების ან/და მანევრირების წესების დარღვევა - 10 ქულა;

სატრანსპორტო საშუალებაზე საცნობი ნიშნის დამაგრების წესის დარღვევით მოძრაობა - 5 ქულა;

ღერძულა ხაზის გადაკვეთა - 10 ქულა;

იგივე ქმედება განმეორებული ერთი წლის მანძილზე - 20 ქულა;

ღერძულა ხაზის გადაკვეთა და მოძრაობის საპირისპირო მიმართულებით მოძრაობა - 30 ქულა;

აღნიშნული სამართალდარღვევები, რომლებსაც მოჰყვა საავარიო ვითარების შექმნა ან მოძრაობის ისეთი შეფერხება, რომელმაც გამოიწვია საცობის შექმნა - 20 ქულა;

საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა, რომლებსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, აგრეთვე სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება - 25 ქულა;

საგზაო მოძრაობის მონაწილის (გარდა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მძღოლისა) მიერ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა ან/და საგზაო მოძრაობის მარეგულირებელი სიგნალისადმი დაუმორჩილებლობა, აგრეთვე საგზაო ნიშნის ან საგზაო მონიშვნის მოთხოვნათა უგულებელყოფა - 10 ქულა;

აღნიშნული ქმედების განმეორებით ჩადენა ერთი წლის განმავლობაში - 15 ქულა;

გზაზე იმ სატრანსპორტო საშუალებით მოძრაობა, რომლის თითოეულ წამყვან ან არაწამყვან ღერძზე მაქსიმალური დატვირთვა აღემატება 10 ტონას (გარდა ერთწამყვანღერძიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებისა, რომლის წამყვან ღერძზე მაქსიმალური დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 11,5 ტონას) ან/და ფაქტობრივი მასა აღემატება 44 ტონას ან/და ფაქტობრივი მასა აღემატება ნებადართულ მაქსიმალურ მასას - 15 ქულა;

ისინი, ვისაც მომდევნო წლის დადგომამდე მართვის მოწმობის ქულები გაუნულდებათ მართვის მოწმობას დაკარგავენ.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სესია

1 მაისს გაიმართა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.

საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში განსახორციელებელი სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკური პროექტების ნუსხაში შესულ ცვლილებას, რომლითაც, წინა წლების ტენდერების ეკონომიის შედეგად, 70 ათასი ლარი გამოიყო ქვიშხეთში სანიაღვრე არხის მოსაწყობად. ცვლილება შევიდა ზედამხედველობის სამსახურის დებულებაში; მიღებულ იქნა დადგენილება კავშირგაბმულობის ხაზის მონტაჟისა და მასთან დაკავშირებული შენობა-ნაგებობების მშენებლობისათვის ნებართვის გაცემის საჭიროების შესახებ; დეპუტატები დაეთანხმნენ განკარგულებას ინოვაციური ტექნოლოგიების ცენტრისათვის უძრავი ქონების უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, აგრეთვე, ორი ახალი ნაგავმზიდისა და 100 ცალი ნარჩენების კონტეინერის ა (ა)იპ „ხაშურსერვისისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ თხოვების ფორმით გადაცემას; ცვლილებები შევიდა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის 2017 წლის პროგრამაში.

ამით საკრებულოს მორიგმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

კოოპერატივ „სურამი 2017“-ის სამომავლო გეგმები

გასულ კვირას, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს “დანერგე მომავალი”-ს პროექტის მენეჯერმა ლევან დოლიძემ, შიდა ქართლის გუბერნატორის მოადგილემ, იოსებ ოქრომელიძემ და ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, გიორგი გურასპაშვილმა ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ გომში პროგრამაში მონაწილე ბენეფიციარი კოოპერატივი “სურამი 2017”-ის ბაღი მოინახულეს. აღნიშნული კოოპერატივი პროგრამაში 2016 წელს ჩაერთო:

როინ კურტანიძე(კოოპერატივის წევრი):

-კოოპერატივი “სურამი 2017” გასულ წელს შეიქმნა, რომელიც 17 წევრს აერთიანებს. მნიშვნელოვანია ქალბატონების ჩართულობა-12 წევრი ქალია და 5 მამაკაცი. ამ ეტაპზე 29 ჰა ფართობია კოოპერატივის საკუთრებაში, აქედან, 7 ჰა-ზე გაშენდა ვაშლი სუსტ საძირეზე და 2 ჰა-ზე კენკროვანი ხილი, ჟოლო და მაყვალი, რომელიც სახელმწიფო პროექტის “დანერგე მომავალი”

მონაწილეობით განხორციელდა. 70 % ნერგებით დაგვაფინანსეს და 50 %-წვეთოვანი სარწყავი სისტემით. ამ პროექტის ფარგლებში,61 075 ლარი მივიღეთ. დამონტაჟდა თანამედროვე გასარწყავების სისტემა. გარდა ხეხილის ბაღისა, 12 ჰა-ზე ხორბალი დავთესეთ, რომელსაც თანამედროვე სისტემით ვანოყიერებთ და კარგ მოსავალსაც ველოდებით.

იოსებ ოქრომელიძე(შიდა ქართლის გუბერნატორის მოადგილე):

–მართლაც მოწინავეა შიდა ქართლი აღნიშნული პროექტებით. “დანერგე მომავალი”-ის ფარგლებში უამრავი ბაღი გაშენდა. დღევანდელი მონაცემებით, რეგიონში სულ 1 065 ჰა მიწის ნაკვეთზე გაშენდა სხვადასხვა ხეხილის ბაღები, რომლისთვისაც სახელმწიფოსგან გამოიყო 6 865 242 ლარამდე. ეს ყველაფერი ხელს უწყობს, უპირველეს ყოვლისა, მოსახლეობის დასაქმებას, განავითარებს აგროკულტურას, სოფლის მეურნეობას, რაც ადგილობრივ მოსახლეობას დაამაგრებს სოფელში.

თ. ჯავახიშვილი

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ცვლილებები 1 მაისიდან ამოქმედდა

სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს, რომელთა სარეიტინგო ქულა 70 000-დან 100 000-მდეა და 6-დან 18 წლამდე ასაკის მოზარდებს:

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მოცულობა უცვლელად შეუნარჩუნდებათ.

მათ არ ეზღუდებათ კერძო სადაზღვევო პაკეტით სარგებლობის უფლება.

ზაფხულიდან მედიკამენტები დაუფინანსდებათ სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს.

მიზნობრივი (მოწყვლადი) ჯგუფებისათვის (სულ 19 კატეგორია) ასევე დასაშვებია კერძო სადაზღვევო პროდუქტის შეძენა. მათ სრულად უნარჩუნდებათ სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსება .

დაბალი შემოსავლის მქონე მოქალაქეები, რომელთა ყოველთვიური შემოსავალი 1000 ლარზე ნაკლებია და თვითდასაქმებული, არარეგულარული შემოსავლის მქონე პირები: ჯანდაცვის პროგრამის მცირედ შეზღუდული პაკეტით ისარგებლებენ, კერძო დაზღვევის ქონის შემთხვევაში კი, პროგრამის ფარგლებში ურგენტულ სერვისებს მიიღებენ უცვლელად. ასევე, ხელმისაწვდომი რჩება ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობის (ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია) და მშობიარობა/საკეისრო კვეთის დაფინანსება

საშუალო შემოსავლის მქონე მოქალაქეებს, რომელთა ყოველთვიური შემოსავალი 1000 ლარზე მეტია, მაგრამ წლიური შემოსავალი არ აღემატება 40 000 ლარს: მიეცემათ არჩევანის საშუალება, ისარგებლონ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შეზღუდული სერვისებით ან კერძო სადაზღვევო პაკეტით.

კერძო დაზღვევის პაკეტით სარგებლობის მიუხედავად, მათ შეუნარჩუნდებათ ონკოლოგიური (ქიმიო და ჰორმონოთერაპია) დაავადებების მკურნალობა,

მშობიარობა/საკეისრო კვეთის დაფინანსება.

მაღალი შემოსავლის მქონე მოქალაქეები, რომელთა შემოსავალი წელიწადში 40 000 ლარს აღემატება, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით ვეღარ ისარგებლებენ, მაგრამ დაუფინანსდებათ მშობიარობა/საკეისრო კვეთა.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის სერვისების მოცულობა განისაზღვრება ინდივიდუალური მონაცემებით და არა - ოჯახის შემოსავლის მიხედვით.

პროგრამის ფარგლებში, მშობიარობა/საკეისრო კვეთა ყველა მოქალაქეს დაუფინანსდება.

ყველა მოქალაქეს შეეძლება ჯანდაცვის სამინისტროს სხვა სახელმწიფო პროგრამებით სრულფასოვანი სარგებლობა.

ვეზირიშვილების ისტორია და ჩაშლილი დუელი ილია ჭავჭავაძესთან - რა აკავშირებს ნიკოლოზ ბარათაშვილს ფოლად ბიულ-ბიულ-ოღლისთან?

ამ დღეებში, საინფორმაციო პორტალმა „ამბები-ჯი" გამოაქვეყნა ინტერვიუ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარე ვაჟა შუბითიძესთან. ინტერვიუში საუბარია ვეზირიშვილების ისტორიაზე, რომელთა ფუძე სოფელ ოსიაურშია. ვფიქრობთ, ინტერვიუში მოთხრობილი ამბები საინტერესო იქნება ჩვენი მკითხველისათვის.

* * *

ყველასთვის ცნობილია ილიას, აკაკის და იაკობის მიერ გადაღებული ფოტო, სადაც ისინი

ცილინდრებით არიან გამოსახულნი. სინამდვილეში ეს ფოტო გვიანდელი მონტაჟია. თავიდან სურათზე გამოსახულნი იყვნენ ილია, მიხეილ ვეზირიშვილი და აკაკი - სამი მეგობარი და პატრიოტი".

თავად ვეზირიშვილებზე, მათ კავშირზე ნიკოლოზ ბარათაშვილთან და აზერბაიჯანელ ნავთის მწარმოებლებთან გვესაუბრება ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ხაშურის საკრებულოს თავმჯდომარე, ვაჟა შუბითიძე:

- უპირველესად გეტყვით, რომ თავადი ვეზირიშვილები პირველად იხსენებიან იოანე ბატონიშვილის შრომაში "შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა", სადაც მითითებულია, რომ თითქოს ისინი წარმოშობით სპარსელები ყოფილან. ცნობილია ისიც, რომ გიორგი ვეზირიშვილი იყო ერეკლე მეორის ერთგული მოხელე და კრწანისის ომის გმირი.

სწორედ მის შვილიშვილს დიმიტრი ვეზირიშვილს (გენერალ - მაიორი, ყირიმისა და რუსეთ - თურქეთის (1877-78წ.წ.) ომის მონაწილე) ჰყავდა ცოლადნიკოლოზ ბარათაშვილის და - ბარბარე. ისინი ცხოვრობდნენ ხაშურის რაიონის სოფელ ოსიაურში, რომელიც ვეზირიშვილებს ეკუთვნოდათ.

ნიკოლოზ ბარათაშვილის მამამ - მელიტონმა შვილის და ცოლის გარდაცვალების შემდეგ, თურმე სიძე - ქალიშვილს შეაფარა თავი და 4 წლის შემდეგ იქვე გარდაიცვალა (1860წ.) ის ოსიაურის ეკლესიასთან არსებულ სასაფლაოზე დაკრძალეს და დღემდე იქ განისვენებს, დიმიტრი ვეზირიშვილთან ერთად.

დიმიტრის და ბარბარეს შვილმა გიორგიმ დიდი წვლილი შეიტანა გენიოსი ბიძის ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების პოპულარიზაციასა და პოეტის თხზულებათა პირველი გამოცემის (1915 წ.) საქმეში.

გიორგის ქალიშვილი, ქეთევანი კი ცოლად გაჰყვა ბაქოში მცხოვრებ ნავთის მრეწველს მირზა კასიმოვს. მათ შეეძინათ ორი ქალიშვილი - ადელია და ჯეირანი. ადელიას შვილი (მეუღლე ცნობილი კომპოზიტორი მურთუზ მა-

ნიკოლოზ ბარათაშვილის დისშვილები გიორგი და მიხეილი

მედოვი "ბულბული") გახლავთ ცნობილი მომღერალი ფოლად ბიულ-ბიულ-ოღლი (თბილისის საპატიო მოქალაქე 2015წ.), რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში აზერბაიჯანის კულტურის მინისტრი იყო, ამჟამად კი ამ ქვეყნის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩია რუსეთში. ბიულ- ბიულ ოღლი ვალერი ასათიანის და ჩემი მოწვევით 2015 და 2016 წლებში ორჯერ იყო ხაშურის რაიონის სოფელ ოსიაურში და ვეზირიშვილების სახლის აღდგენაში დახმარებას შეგვპირდა...

ვეზირიშვილების ამ შტოს თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ: კონსტანტინე და მიხეილ ვეზირიშვილებიც. ეს უკანსაკნელი იყო ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების პირველი მკვლევარი. ილიასთან, დიმიტრი ყიფიანთან და ნიკო ნიკოლაძესთან ერთად სათავადაზნაურო ბანკის ერთ-ერთი დამაარსებელი. ბანკს უკავშირდება მისი გახმაურებული დუელი ილია ჭავჭავაძესთან, რომელიც ჩაიშალა.

მიხეილსვე უკავშირდება ერთი გახმაურებული ფოტოს ისტორიაც. ყველასთვის ცნობილია ილიას, აკაკის და იაკობის მიერ გადაღებული ფოტო, სადაც ისინი ცილინდრებით არიან გამოსახულნი.

სინამდვილეში ეს ფოტო გვიანდელი მონტაჟია. თავიდან სურათზე გამოსახულნი იყვნენ ილია, მიხეილ ვეზირიშვილი და იაკობი - სამი მეგობარი და პატრიოტი.

მანანა გაბრიჭიძე

ნიკოლოზ ბარათაშვილის და - ბარბარე

ოთხი ტიტული „მის მსოფლიოზე“

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში 11 წლის მარიამ კაპანაძის შესახებ ვწერდით, რომელიც “პატარა მის საქართველოს” ტიტულის მფლობელი გახდა. სულ რამდენიმე დღის წინ, ბათუმმა „მის მსოფლიოს“ კონკურსს უმასპინძლა, სადაც 35 ქვეყნის წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას, საქართველო მარიამმა წარმოადგინა და საპატიო ოთხი ტიტულიც დაისაკუთრა” “მის პრინცესა 2017”, “სათნო პრინცესა”, “მის პატარა ქალბატონი” და “მსოფლიოს ოქროს პრინცესა”. მანამდე იყო ერთკვირიანი სწავლების პროცესი, რომელიც გარდა ეტიკეტის სწავლისა, დატვირთული იყო სხვადასხვა აქტივობებით, რომელიც ხელს უწყობდა წარმოდგენილი ქვეყნების ბავშვებს შორის ურთიერთობის გაღრმავებას. ჟიურში თითქმის ყველა დიდი ქვეყნის წარმომადგენელი იყო. მარიამმა განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა და მიიწვიეს ბრაზილიასა და ტაილანდში, როგორც კონკურსის საუკეთესო მონაწილე.

თევზჭერაზე რეგულაციები შეიცვალა

1 მაისიდან 31 აგვისტოს ჩათვლით, უკანონო თევზჭერა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ნაცვლად, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სანქციებს ითვალისწინებს. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ცნობით, გამკაცრებული სანქციები ქვირითობის პერიოდს ემთხვევა. „ქვირითობის პერიოდში, შიდა წყალსატევებში, აკრძალული საშუალებებით თევზჭერა გამოიწვევს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სანქციებს.” სამოყვარულო (ანკესით, მათ შორის რეკრეაციული) თევზჭერა დაშვებულია მთელი წლის განმავლობაში, კალმახის გარდა.

ერთობლივი კონცერტი აგერ-გაიჯანელ მუსიკოსებთან ერთად

25 აპრილს, ხაშურის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის დარბაზში. ხაშურის სამუსიკო სკოლის მოსწავლეების და აზერბაიჯანის, დაბა ხირდალანის თერთმეტწლიანი სამუსიკო სკოლის მოსწავლეების ერთობლივი კონცერტი გაიმართა, ადგილობრივი შემსრულებლებიდან მსმენელის წინაშე წარსდგნენ, მუსიკოს ლიანა ტატიშვილის გუნდი და ფატი სადაღაშვილის მოსწავლები: ლიკა კალმახელიძე და სოფიო ნოზაძე.

სტუმრებმა ნაწარმოებები შეასრულეს როგორც კლასიკურ ინსტრუმენტებზე, ასევე ეროვნულ საკრავებზე, რამაც მსმენელის განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია.

ღონისძიების დასასრულს, ხაშურის სამუსიკო სკოლის ხელმძღვანელებმა, აზერბაიჯანის დაბა ხირდალანის სამუსიკო სკოლის წარმომადგენლებს, მეგობრობის ნიშნად, დიპლომებთან ერთად, სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს და სამომავლოდ, თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს.

პატარა მოჭადრაკეების წარმატება

ამ დღეებში, ქარელში, გაიმართა რეგიონული ტურნირი ჭადრაკში, რომელშიც ჩვენი სასპორტო სკოლის პატარა მოჭადრაკეებიც იღებდნენ მონაწილეობას. ალექსანდრე ჭადაშვილის დამოძღვრილმა გუნდმა (დავით ნოზაძე, გიორგი ბარბაქაძე, გიორგი იჩქიტიძე, ლევან

იჩქიტიძე) წარმატებით იასპარეზა და 12 მონაწილეთა შორის ბრინჯაოს მედლები მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ ჩვენს მოჭადრაკეებს ასაკით ოდნავ უფროსებთან უწევდათ პაექრობა და მიუხედავად ამისა, მაინც შესანიშნავად იასპარეზეს. გუნდმა მედლებთან და სიგელებთან ერთად, ფულადი ჯილდოც მიიღო.

პატარა მოჭადრაკეებისგან მომავალშიც მნიშვნელოვან გამარჯვებებს ველით.

სურათზე (მარცხნიდან): დავით ნოზაძე, გიორგი იჩქიტიძე, ალექსანდრე ჭადაშვილი, გიორგი ბარბაქაძე, ლევან იჩქიტიძე.

მიეძღვნა „დედა ენის“ დღეს

ხაშურის №3 საბავშვო ბაღის 5-6 წლიანთა ჯგუფ „ჭიამაიას” აღსაზრდელებმა დედა ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ჩაატარეს. (ბაღის მენეჯერი ნანი ქურდაძე, პატარების აღმზრდელ-მასწავლებელი ცირა ჯუღელი, მუსიკის პედაგოგი სუსანა ნოზაძე). ღონისძიებამ მოწვეული სტუმრების, ხაშურის ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებისა და განათლების რესურსცენტრის ხელმძღვანელთა მოწონება დაიმსახურა.

ნანი ქურდაძე(ბაღის მენეჯერი): ჩვენმა პატარებმა ნამდვილად იყოჩაღეს და მართლაც გაზაფხულივით ფერადი, თბილი, მხიარული, მუსიკალური ღონისძიება გამოგვივიდა. აქვე მინდა აღვნიშნო, ბაღების მიმართ გამოჩენილი განსაკუთრებული მზრუნველობა. თითქმის ყოველმხრივ მოწესრიგებული გარემო კიდევ მეტ მუხტს აღძრავს, რათა უშურველად ემსახურებოდე იმ საქმეს რასაც მომავალი თაობის აღზრდა ქვია – ჩვენც ცდას არ ვაკლებთ.

კარინე სააკიანი - ცხრამუხელების ხელოვანი რძალი ერევნიდან

მრავალი საინტერესო და გამორჩეული რესპოდენტის გაცნობის პატივი ერგო „ხაშურის მოამბეს". ყველა მათგანის შემოქმედებითი თუ პიროვნული მხარეებიც ნათლად წარმოაჩინა თავისი ერთგული მკითხველისათვის. ასე განვაგრძობთ მომავალშიც. დღევანდელ ნომერში კი გაგაცნობთ ხელოვან ქალბატონს სომხეთიდან,რომელსაც განგებამ ბედად სოფელ ცხრამუხაში თიგიშვილების ოჯახის რძლობა არგუნა. ჯერ მხოლოდ ერთი თვეა, რაც ხაშურში დამკვიდრდა, თუმცა კარინე სააკიანის ნიჭისა და ფართო შესაძლებლობების შესახებ ინფორმაცია გასცდა სოფლის საზღვრებს და რედაქციის კარებზეც დააკაკუნა. ჩვენც არ დავაყოვნეთ და ახალ პატარძალს, ცხრამუხაში, ოჯახში ვესტუმრეთ. მისი ხელოვნების ტრფიალი ჯერ კიდევ ეზოში შესვლისთანავე შევამჩნიეთ,როგორც ჩანს უკვე „აქაური ქუდიც დაუხურავს" და ქართული ეთნოგრაფიული ელემენტები შეუტანია ეზოს კეთილმოწყობაში. გვესიამოვნა. ნამუშევრების დათვალიერების შემდეგ კი ნამდვილად დავრწმუნდით მის მართლაც რომ ოსტატობაში. უმეტესწილად თექისგან ამზადებს ნაკეთობებს,მისი ნამუშევრები გამოირჩევა საოცარი ინდივიდუალურობით, სახელოვნებო ოსტატობით და ულამაზესი ფერთა გამებით. ამზადებს აგრეთვე ჭილოფისაგან, როგორც თავად აღნიშნა „ჭილოფი ასახავს როგორც ხალხურ კოლორიტს, ამავე დროს, თანამედროვე ხელოვნების სულიერებას"-ო.

- მოგვიყევით თქვენი ნამუშევრების შესახებ, რა სახის ნაკეთობებს ქმნით?

– მრავალფეროვანი და განსხვავებული თემატიკა მაქვს. ძირითადად ვმუშაობ თექაზე, რომელზე მუშაობაც საკმაოდ მძიმეა, დიდი ენერგიას მოითხოვს. თექისგან და ასევე ჭილოფისაგან ვამზადებ ტანსაცმელსა და სხვადასხვა ნაკეთობებს. ვქმნი სხვადასხვა კულტურის ხალხთა ჩაცმულობას, პანოებს, რომელიც შესრულებულია კოლაჟის სტილში, ეკოლოგიურად სუფთა მასალისაგან. მრავლად მაქვს აბსტრაქტულ-რელიეფური სურათები, აპლიკაციები. მაქვს ბევრი ისეთი ნამუშევარი, სადაც ერთ ქსოვილზე მომიქარგვას, ნაქსოვი დეტალები და სხვადასხვა სახელოვნებო ტექნიკა გამომიყენებია, თემატურად დამიტვირთავს. აგრეთვე, წიგნებზე ვაკეთებ მართმადიდებლურ ჯვრებს. სხვათაშორის, ოქტომბერში, მცხეთაში მოვინათლე მართლმადიდებლად. წინასწარ ვემზადებოდი ფსიქოლოგიურად, ნათლობის შემდეგ დავიწყე სრულიად ახალი ცხოვრება, სახელით – მარია.

- ქალბატონო კარინე, მოხიბლულები ვართ თქვენი ნამუშევრებით, ავტორისეული ხელწერა თითოეულ მათგანში იგრძნობა, საიდან იღებთ შთაგონების წყაროს ამ საუცხოო ნაკეთობების დამზადებისათვის?

– 2006 წელს, დავესწარი საიათნოვასადმი მიძღვნილ კონცერტს ერევანში და მისი გავლენის ქვეშ მოვექეცი, მისმა ხელოვნებამ მთლიანად მომიცვა. ასე რომ შთაგონების წყარო ჩემთვის საიათნოვაა. მისმა შემოქმედებამ, პოეზიამ, ქალისადმი მისმა დამოკიდებულებამ თუ როგორ ადარებს ის მას გარემომცველ ბუნებას, ქალისა და მამაკაცის სიყვარულისა და ურთიერთობის მისეულმა ხედვამ მომნუსხა და მასზე მიმაჯაჭვა, შემდგომში, საიათნოვას გავლენით, შევქმენი გამოფენა საკუთარი ნამუშევრებისა მათ შორის კი ჭილოფისგან დავამზადე „ქამანჩა", და მივიღე სომხეთის სახალხო ოსტატის წოდება.

- გამოფენები თუ გქონიათ თქვენი ნამუშევრებისა? და თუ ყიდით მათ?

– დიახ, გამოფენები მქონდა. თბილისში სომხეთის კულტურის ცენტრში „აიართურ" შედგა ჩემი საავტორო გამოფენა, სომხეთის საელჩოს მხარდაჭერით. აგრეთვე სომხეთის გენერალურმა საკონსულომ ბათუმში მოაწყო ჩემი ორიგინალური კოლექციის გამოფენა. კოლექციას ერქვა „ტრადიციული და თანამედროვე", რაშიც აისახა ფოლკლორის, ეთნოგრაფიის და გამოყენებითი ხელოვნების ელემენტები. ფიზიკურად არ ვყოფილვარ თუმცა ჩემი ნამუშევრები გაგზავნილ იქნა და წარმოდგენილი სირიაში, ავსტრიაში, შვეიცარიაში და რუსეთში. შემოქმედების ტრამპლინი აღმოჩნადა, 2005 წელს ჩემი ნამუშევრების გამოფენა იაპონიაში, ქალაქ აიჩში. რაც შეეხება ჩემი ნამუშევრების გაყიდვას, ვყიდი და მსურს აქაც განვაგრძო და ფინანსური სარგებელი მივიღო ჩემი ნამუშევრებისაგან. ერევანში მქონდა საკუთარი სტუდია გახსნილი, სადაც ბავშვებს ეტიკეტსა და ჩემ ხელსაქმეს ვასწავლიდი, მსურს რომ ჩემი ცოდნა აქურ ბავშვებსაც გავუზიარო და შევასწავლო, რათა იყვნენ საზოგადოებისათვის სასარგებლონი.

- როდის დაინტერესდით ამ ხელსაქმით?

– ეს ყველაფერი დაიწყო ბავშვობიდან. ბებია, დიდი ბებია, დეიდა ამ საქმიანობით იყვენ დაკავებულნი და, ასე ვთქვათ, გენეტიკურ კოდში მიდევს. თუმცა, აკადემიური განათლება ამ მხრივ არ მაქვს და ვფიქრობ, რომ ეს კარგიცაა - არავის ნასწავლის გავლენა არ იგრძნობა ჩემ ნამუშევრებში. უდიდეს პასუხისმგებლობას ვგრძნობ ჩემი ნაკეთობების მიმართ, ჩემთვის ხარისხი უმთავრესია.

- რა არის თქვენი ძირითადი პროფესია?

– სპეციალობით ფსიქოლოგი ვარ. ჩემი ლექციებით და უახლესი მეთოდით „არტ-თერაპიით" სხვადასხვა ონკოლოგიური ცენტრების ავადმყოფებს ვეხმარები და ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას ვუკეთებ, რომელიც ამცირებს მათ დაძაბულობას, ასტიმულირებს მათ შემოქმედებით უნარებს, აძლიერებს მათ თავდაჯერებულობას საკუთარ თავში, აძლევს მომავლის რწმენას, რათა ადვილად გამოჯანმრთელდნენ. აღნიშნული პროცედურები პაციენტებს უტარდებათ ოპერაციამდე და ოპერაციის შემდეგაც. 2015 წელს, ბათუმში შევხვდი, ჩემ კოლეგებს ექიმ ონკოლოგებს და ჩემეული გამოცდილება გავუზიარე არტ-თერაპიაში.

- კარინე, ჩვენ შევიტყვეთ თქვენი საქველმოქმედო აქტივობების შესახებაც...

– დიახ, თბილისის ზღვის მომდებარე ტერიტორიაზე მოხუცებულთა თავშესაფარს ვესტუმრე, დედის დღესთან დაკავშირებით. იმ პერიოდისთვის სასტუმრო „მერიოტში" ტურისტებისათვის ჩემი ნამუშევრები მქონდა გამოფენილი – უკლებლივ ყველა ნივთი თავშესაფარში წავიღე, შარფები, მძივები სამკაულები.. მათი მადლიერი თვალების გულისთვის ეს ყველაფერი ნამდვილად ღირდა. ჩემი ნამუშევრების გაყიდვიდან შემოსული თანხით სათამაშოები და საჩუქრები ვუყიდე და გადავეცი ცხინვალიდან დევნილ პატარებს 1 ივნისს ბავშვთა დღესთან დაკავშირებით.



წარმატებას ვუსურვებთ კარინეს, ვიმედოვნებთ, მისი შემოქმედების აღმავლობის პროცესი კვლავაც გაგრძელდება.

თ. ახალკაცი

განცხადება

მიმდინარე წლის 29 მაისს, ხაშურში, წმინდა ნინოს ქ. №29-ში, გაიმართება კოოპერატივ „ხაშურ-ქარელის მეფუტკრის" საერთო კრება

დღის წესრიგი:

1. სახელწოდების ცვლილება; 2. ელექტრონული მისამართის შეცვლა;
3. პარტნიორის ცვლილება.

რკ კოოპერატივის გამგეობა D

განცხადება

D

მიმდინარე წლის 29 მაისს, თბილისში, კოსტავას ქ. №23-ში, გაიმართება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივ „ბიოფერმერის" საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით: რკ „ბიოფერმერის" მიერ 22.02.2017 წ. გამართულ გამგეობის სხდომაზე და 27.02.2017 წ. ჩატარებულ რიგგარეშე კრებაზე განხილული საკითხების დადასტურება; წესდებაში ცვლილებების განხორციელება; ასევე სხვადასხვა გადაწყვეტილებების განხილვა და დადასტურება.

რკ კოოპერატივის გამგეობა

ხაშურის მე-6 საჯარო სკოლის VIII ა კლასის მოსწავლეები და მათი მშობლები სამძიმარს უცხადებენ კლასის დამრიგებელს ნანა კუჭაძეს დედამთილის მედეა ლომიძის გარდაცვალების გამო. D

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.